

შპს „ეარფლეინ ტექნიკს“

2018 წლის
ფინანსური ანგარიშგება

დირექტორი

ვ. მორელი



შპს ეარფლეინ ტექნიკს

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31
დეკემბრისთვის

	31/12/18 GEL	31/12/17 GEL
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	6,555	53,185
სავაჭრო მოთხოვნები	1,904,333	170,975
ნედლეული და მასალები	72,778	10,406
სხვა მოკლევადიანი აქტივები	85,444	196,838
სულ მოკლევადიანი აქტივები	2,069,110	431,404
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	2,269,430	2,339,919
სულ გრძელვადიანი აქტივები	2,269,430	2,339,919
სულ აქტივები	4,338,540	2,771,323
კაპიტალი და ვალდებულებები		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	568,632	331,652
ვალდებულებები საწარმოს პერსონალთან	97,149	801
მოკლევადიანი არასაბანკო სესხი		115,000
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	665,781	447,453
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი არასაბანკო სესხი	11,588,892	8,592,526
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	11,588,892	8,592,526
საკუთარი კაპიტალი		
კაპიტალი	100,000	100,000
დაგროვილი მოგება/ზარალი	(8,016,133)	(6,368,656)
სულ საკუთარი კაპიტალი	(7,916,133)	(6,268,656)
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	4,338,540	2,771,323

დირექტორი

ვ. მორელი



2018 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა დაკაპიტალის
ცვლილების ანგარიშგება

	2018 GEL	2017 GEL
ამონაგები	3,385,545	215,030
მომსახურების რეალიზაციიდან	3,385,545	215,030
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(123,070)	(35,920)
საერთო მოგება	3,262,475	179,110
დასაქმებულთა ანაზღაურება	(2,018,741)	(1,626,009)
ცვეთა და ამორტიზაცია	(258,535)	(274,071)
საპროცენტო ხარჯი	(892,756)	(634,102)
მივლინების ხარჯი	(135,954)	(25,110)
იჯარის ხარჯი	(274,956)	(111,000)
შესყიდული მომსახურების ხარჯი	(563,737)	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(439,955)	(386,356)
სულ საოპერაციო ხარჯები	(4,584,634)	(3,056,648)
საოპერაციო ზარალი	(1,322,159)	(2,877,538)
ზარალი განგრძობითი ოპერაციებიდან	(1,322,159)	(2,877,538)
ზარალი	(1,322,159)	(2,877,538)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	(325,318)	(44,183)
ზარალი ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან	(325,318)	(44,183)
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	(1,647,477)	(2,921,721)
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი	(6,268,656)	(3,341,935)
პერიოდის ზარალი	(1,647,477)	(2,921,721)
სხვა ცვლილება საკუთარ კაპიტალში		(5,000)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	(7,916,133)	(6,268,656)

დირექტორი

ვ. მორელი



2018 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2018 GEL	2017 GEL
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა	(46,630)	39,021
სავალუტო კურსის ეფექტი		
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	53,185	14,164
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	6,555	53,185

დირექტორი

ვ. მორელი



სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ერფლეინ ტექნიკს“ დაარსებულია 2015 წელს. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ბროსეს ქ. #2; საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, ქ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორია. საწარმოს ძირითადი საქმიანობაა სამოქალაქო საჰაერო ხომალდების რემონტი და ტექნურუნველყოფა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში, ლარში (GEL).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და გადაეცემა საკუთრების უფლება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, არაწრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები: შენობა-ნაგებობები 5 პროცენტი, მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა 20 პროცენტი.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულების თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „პირველი მოვიდა - პირველი გავიდა“ (FIFO) მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.



სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

3. განმარტებითი შენიშვნები

ა) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები

მუხლში „ფული და ფულის ეკვივალენტები“ აგრეგირებულია ნაღდი ფული სალაროში და ფული საბანკო ანგარიშებზე, შემდეგი მნიშვნელობებით:

	31/12/18	01/01/18
ნაღდი ფული სალაროში	1,450	1230
ეროვნული ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	2,522	30,651
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	2,581	21,302
	6,555	53,185

მუხლი „ძირითადი საშუალებები“ ასახავს საწარმოს ძირითადი საქმიანობის - სამოქალაქო საჰაერო ხომალდების რემონტი და ტექნიკური უზრუნველყოფა - განსახორციელებლად აუცილებელი მანქანა-დანადგარების, მოწყობილობების, საოფისე ტექნიკისა და ავეჯის ნაჩენ ღირებულებას.

მუხლი „ვალდებულებები საწარმოს პერსონალთან“ პერიოდის დასაწყისისათვის ასახავს 801 ლარის სიდიდის დავალიანებას პერსონალთან საქვეანგარიშო თანხებით. პერიოდის ბოლოსათვის დარჩენილია დავალიანება საქვეანგარიშო თანხებით 24 ლარი და 2018 წ. დეკემბრისთვის სახელფასო დავალიანება 97,125 ლარის ოდენობით.

„მოკლევადიანი არასაბანკო სესხი“: პერიოდის დასაწყისისათვის არსებული ვალდებულება - 115,000 ლარი შპს „თს ჰოლდინგისადმი“. პერიოდის განმავლობაში სესხი და მასზე დარიცხული სარგებელი 1,248 ლარის ოდენობით სრულად დაფარულია.

მუხლი „გრძელვადიანი არასაბანკო სესხი“ აღნიშნავს არარეზიდენტი იურიდიული პირისგან (რიდლსფორდ ფინანსიალ სა) აღებული გრძელვადიანი სესხების მდგომარეობას. სესხი აღებულია ევროში და აშშ დოლარში, წლიური 10%-იანი სარგებლით.

პერიოდის დასაწყისისათვის მდგომარეობა შემდეგნაირი იყო:

ძირითადი 2,810,927 \$ 7,286,485 ლარი
97,000 EUR 301,126 ლარი

დირექტორი

ვ. მორელი



სარგებელი 378,898 \$ 985,464 ლარი
6,264 EUR 19,448 ლარი

ხოლო პერიოდის ბოლოსათვის:

ძირითადი 3,509,927 \$ 9,394,671 ლარი
97,000 EUR 297,799 ლარი

სარგებელი 700,847 \$ 1,847,192 ლარი
6,264 EUR 49,228 ლარი

საკუთარი კაპიტალი შემცირებულია პერიოდის ზარალის ხარჯზე.

ბ) სრული შემოსავლისა და კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

მუხლის „ამონაგები“ მნიშვნელობა, 3,385,545 ლარი, მოიცავს 2018 წ. რეალიზებული მომსახურების ღირებულებას. აქედან 67,462 ლარის ამონაგები მიღებულია საქართველოს რეზიდენტი დამკვეთებისათვის მომსახურების მიწოდებით, ხოლო 3,318,082 ლარის ამონაგები - საქართველოს არარეზიდენტი დამკვეთებისათვის მომსახურების მიწოდებით.

მსხვილი დამკვეთებიდან გამოსაყოფია ავიაკომპანია სკატ, რომლისათვისაც მიწოდებულია 3,283,865 ლარის (1,092,117 EUR) თვითმფრინავის სარემონტო მომსახურება.

მუხლის „საპროცენტო ხარჯი“ მნიშვნელობა (892,756 ლარი) მოიცავს პერიოდის განმავლობაში მოკლევადიან და გრძელვადიან არასაბანკო სესხებზე დარიცხულ სარგებელს.

ავიაკომპანია სკატ-ის დაკვეთის შესრულებამ მოითხოვა სარემონტო სამუშაოების ნაწილის საქართველოს არარეზიდენტი კონტრაგენტებისაგან (ეუ ვინგს სრლ, ნორდიკ ავიეიშენ, ათენს აეროსერვისიზ, სკაილაინ მეინტენას) შესყიდვა. შესაბამისმა დანახარჯმა შეადგინა 563,737 ლარი. ასევე, საჭირო გახდა საწარმოს პერსონალის ნაწილის (12 კაცი) გარკვეული დროით მივლინება არარეზიდენტ საწარმოებში რემონტის ნაწილის შესასრულებლად. შესაბამისმა სამივლინებო თანხებმა შეადგინა 135,954 ლარი.

შპს „ეარფლეინ ტექნიკის“ საწარმოო სიმძლავრეები განლაგებულია საქართველოს აეროპორტების გაერთიანების საკუთრებაში არსებულ, აღნაგობის უფლებით დატვირთულ მიწის ნაკვეთზე აღმართულ ნაგებობაში (ანგარში). ხელშეკრულებით, აღნაგობის უფლების სანაცვლოდ განსაზღვრულია ფიქსირებული გადასახდელი - 25,960 ლარი თვეში. ურთიერთობა აღიარებულია ჩვეულებრივ იჯარად. ასევე საქართველოს აეროპორტების გაერთიანებისაგან



იჯარით (1,800 ლარი თვეში) აღებულია ფართი ქუთაისის აეროპორტში. სულ საიჯარო გადასახდელების ხარჯმა პერიოდის განმავლობაში შეადგინა 274,956 ლარი.

შედეგად, პერიოდის განმავლობაში მიღებულია საოპერაციო ზარალი 1,322,159 ლარის ოდენობით. საკურსო სხვაობებით გამოწვეულმა ზარალმა შეადგინა 325,318 ლარი, ხოლო მთლიანმა სრულმა ზარალმა - 1,647,477 ლარი.

საკუთარი კაპიტალი პერიოდის განმავლობაში შეცვლილია მხოლოდ პერიოდის ზარალით და მისმა მნიშვნელობამ 31.12.2018 წ.-სათვის შეადგინა -7,916,133 ლარი.

გ) ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

პერიოდის განმავლობაში დაფიქსირდა წმინდა გადინება საოპერაციო საქმიანობიდან 46,630 ლარის ოდენობით.

პერიოდის დასაწყისში დაფიქსირებულია ფულადი სახსრები 53,185 ლარის ოდენობით, ხოლო პერიოდის ბოლოსათვის 6,555 ლარის ოდენობით.

დირექტორი



ვ. მორელი

